ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1504886

ნომერი: AR1246743

თარიღი : 29.08.2014

გაცემის თარიღი : 25.09.2014

გაცნობის თარიღი : 25.09.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლეონიძე (ყოფ. კიროვი), N 2/გ.ტაბიძე N1 , (ნაკვეთი N74/13) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე მაქაცარია პ/ნ 19001053838
- ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლეონიძის ქ. N2

ორგანიზაცია:

- შპს "ბიზნეს ცენტრი ტაბიძის N1" კოდი: 204504161

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. N2 / გ. ტაბიძის ქ. N1–ში (ნაკვ. N74/13) სარეკლამო მონიტორის მოწყობის საკითხი გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის

გადაწყვეტილების საფუძველზეც ეთქვა უარი – "მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო მონიტორის სიმაღლე არსებული რეკლამის იდენტური იქნება, კომპოზიციურად შეუსაბამოა შენობის არქიტექტურულ იერსახესთან. ძველი ჭვირული (ჰაეროვანი) რეკლამის სიგრძე 7.8 მ–ია, ახალი კი შენობის ორ ფასადზე გამოდის (12.6 მ. და 9.3 მ.) ერთიან ზოლად. შემცირდეს სარეკლამო კონსტრუქციის ზომები" (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 19.09.2014 წლის Nდ/13/12/45 წერილი).

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ე. მაქაცარიას უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. ე. მაქაცარიას ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. N2 / გ. ტაბიძის ქ. N1–ში (ნაკვ. N74/13) სარეკლამო მონიტორის მოწყობის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.